



-17-

საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის

აქტი

№ 16/00

„13“ მარტი 2010

ქ. თბილისი

“ვ ა მ ტ კ ი ც ე პ”
სოციალური სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

გიორგი ალასანია

13 „ მარტი “ 2010 წელი

ვგზ. N2

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში 2009 წლის
ბიუჯეტის შესრულების ფინანსური (კამერალური) აუდიტის აქტი

სარჩევი

შესავალი	1
აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები	2
ძირითადი ტექსტი	2
1. მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა	
1.1. წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებული ასიგნებებში ცვლილებების შეტანის, აგრეთვე საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის გადაწილების მდგომარეობა და კანონიერება	2
1.2. დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით	5
1.3. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობა	6

1.4. გრანტების (ფულადი და სასაქონლო), ჰუმანიტარული დახმარებების და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემოსავლების მიღების, აღრიცხვის და გამოყენების მდგომარეობა;-----	9
1.5. ფინანსური ანგარიშებისა და ანგარიშგების შედგენისა და წარდგენის კანონიერება-----	10
2. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება(ზრდა/კლება);-----	10
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები-----	11

შესავალი:

აუდიტის საფუძველი: საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2010 წლის 4 მარტის N19/43 ბრძანება.

აუდიტის ჯგუფის წევრები: აუდიტორები ელგუჯა ბეროშვილი (ჯგუფის ხელმძღვანელი) რევაზ ჭითავა და ლილი გველესიანი.

აუდიტის ფარგლები: 2009 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 იანვრამდე პერიოდი.

აუდიტის ვადა: 2010 წლის 4 მარტიდან 16 მარტამდე.

აუდიტი დაიწყო 2010 წლის 4 მარტს და დასრულდა 15 მარტს.

აუდიტის მეთოდი – წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი.

აუდიტის ფორმა: კამერალური.

შემოკლებანი:

1. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო – სამინისტრო;
2. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი – მინისტრი;
3. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო – ფინანსთა სამინისტრო;
4. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური – სახაზინო სამსახური;
5. საქართველოს მთავრობა – მთავრობა.

საქმიანობის მოკლე მიმოხილვა

სამინისტრო თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად. მისთვის დაკისრებულ ფუნქციებს ის ასრულებს მთავრობის დადგენილებით¹ დამტკიცებული დებულების საფუძველზე. სამინისტროს ძირითადი ამოცანებია: კულტურის, კულტურული მემკვიდრეობის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში ქვეყნის ერთიანი პოლიტიკის შემუშავება, დაგეგმვა და მისი რეალიზების კოორდინაცია. სამინისტროს აქვს ბეჭედი სახელმწიფო გერბის გამოსახულებით, დასრულებული ბალანსი, ხარჯთაღიცხვა და სათანადო ანგარიშები სახელმწიფო ხაზინაში.

¹ 2004 წელი 27 მაისი N 42

აუდიტის პერიოდში სამინისტროს სისტემაში შედიოდა ერთი საქვეუწყებო დაწესებულება და 79 საჯარო სამართლის იურიდიული პირი, აქედან ბიუჯეტი აფინანსებდა 64 ერთეულს.

აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები

1. სამინისტროს მიერ წლიური ბიუჯეტის ფორმირებისას სრულყოფილად არ განისაზღვრება გეგმიური ხარჯებისა და ჩასატარებელი ღონისძიებებისათვის საჭირო ასიგნებების ოდენობა, რის შედეგადაც ადგილი აქვს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და ორგანიზაციულ კოდებს შორის ასიგნებების ხშირ გადანაწილებას;
2. წლის განმავლობაში განხორციელებულია არასისტემური ცვლილებები, რის შედეგადაც დამტკიცებული ბიუჯეტიდან ამოღებულია ან შემცირებულია პრიორიტეტულ პროგრამებზე გათვალისწინებული ასიგნებები;
3. სამინისტრომ საკუთარი ფინანსური რესურსების პირობებში, სხვადასხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად თანხები მოითხოვა და მიიღო პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან;
4. სამინისტრო საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან მიმართებაში სრულყოფილად არ ახორციელებს, მათ მიერ ბიუჯეტის კანონით დამტკიცების გარეშე, მიღებული გრანტების აღრიცხვისა და ხარჯვის მიზნობრიობის მონიტორინგს.

ძირითადი ტექსტი

1. მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა

1.1. წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილებების შეტანის, აგრეთვე საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის გადანაწილების მდგომარეობა

აუდიტის შედეგად დადგენილი გარემოებები:

„საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ფინანსთა სამინისტროს წერილის² თანახმად, სამინისტროსთვის დამტკიცებული წლიური საბიუჯეტო ასიგნებების თავდაპირველი ოდენობა განისაზღვრა 86 350.0 ათასი ლარით. საბიუჯეტო კანონში შეტანილი ცვლილებების³ საფუძველზე, ასიგნებები შემცირდა 133.6 ათასი ლარით და 86 216.4 ათასი შეადგინა. იმავე წელს შეტანილი ცვლილებების⁴ შედეგად, ასიგნებები გაიზარდა 34.3 ათასი ლარით და საბოლოოდ წლიური ასიგნებების დამტკიცებული გეგმა განისაზღვრა 86 250.7 ათასი ლარით, მათ შორის საბიუჯეტო სახსრები - 85 816.4 ათასი ლარი და გრანტი - 434.3 ათასი ლარი.

საანალიზო წლის განმავლობაში სამინისტროს მიერ ფინანსთა სამინისტროში საბიუჯეტო ასიგნებების ცვლილებებზე მოთხოვნა წარდგენილია 101 შემთხვევაში. თანხმობა მიღებულია საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და ორგანიზაციულ კოდებს შორის 5030.9 ათასი ლარის გადანაწილებაზე (65 შემთხვევა), მათ შორის: კოდებს შორის - 4042.1 ათასი ლარი (41 შემთხვევა), მუხლებს შორის - 988.8 ათასი ლარი (24 შემთხვევა), რაც დამტკიცებული გეგმის 5.9%-ია (ლიმიტი-10%).

გარდა ამისა ფინანსთა სამინისტრომ არ დააკმაყოფილა 36 მოთხოვნა საბიუჯეტო ასიგნებებში განსახორციელებელ ცვლილებებზე, მათ შორის საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის (17 შემთხვევა) 728.5 ათასი ლარისა და ორგანიზაციულ კოდებს შორის (19 შემთხვევა) 1730.6 ათასი ლარის ოდენობით. ცვლილებები განხორციელდა ასევე წლიურ საბიუჯეტო ასიგნებების კვარტლებს შორის.

² 2009 წლის 13 იანვარი N04-02/210

³ 2009 წლის ივლისი N 1410-რს საქართველოს კანონი

⁴ 2009 წლის 4 დეკემბერი N2229-IIს საქართველოს კანონი

მიუხედავად იმისა, რომ სამინისტროს ბიუჯეტი დაიგეგმა კვარტალურ ჭრილში პრიორიტეტებისა და მიმართულებების გათვალისწინებით, შესრულების პროცესში თავი იჩინა არაერთმა ხარვეზმა, რაც აისახა გეგმის განხორციელებულ თუ განუხორციელებელ (უარი ეთქვა ფინანსთა სამინისტროს მიერ) ინტენსიურ ცვლილებებში. არასწორი დაგეგმვის შედეგად 2009 წლის პირველ კვარტალში აღმოჩნდა, რომ მარჯანიშვილის სახ. თეატრს შრომის ანაზღაურების და სადადგმო ხარჯების დასაფინანსებლად არ ჰყოფნიდა 150.0 ათასი ლარი, რაც ცვლილების შედეგად გადმოტანილია მე-3 კვარტლის ხარჯებიდან. მე-2 კვარტალში გათვალისწინებული ასიგნებები საკმარისი არ აღმოჩნდა სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის აპარატის კომუნალური ხარჯების დასაფარად, რის გამოც მე-3 კვარტლის ხარჯებიდან გადმოტანილია 15.0 ათასი ლარი. პირველ კვარტალში სახელმწიფო კონსერვატორიას წარმოექმნა 48.9 ათასი ლარის ეკონომია, რაც მიმართულია 1998-2000 წლების სახელფასო დავალიანების დასაფარად.

არასისტემური ხასიათის ცვლილებების გატარება მოთხოვნილ იყო სხვადასხვა ორგანიზაციული კოდის მიხედვით, კერძოდ საპრეზიდენტო ნაციონალურ პროგრამაში, სუბსიდიებიდან 2009 წლის 25 სექტემბერს მეოთხე კვარტლიდან მესამე კვარტალში გადმოტანილია 120.0 ათასი ლარი. აღნიშნულის აუცილებელ მოტივად მითითებულია მე-3 კვარტლის ასიგნებების ამოწურვა. თუმცა, ამავე კვარტალში (24 ივლისს) ფინანსთა სამინისტროს გაეგზავნა მოთხოვნა ამავე პროგრამიდან ხელოვნების განვითარების ღონისძიებებში 533.4 ათასი ლარის გადატანის თაობაზე, რაც არ დაკმაყოფილდა.

„საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სამინისტროს განესაზღვრა პრიორიტეტული მიმართულებები, რომლებიც ორიენტირებული იყო მოსალოდნელ კონკრეტულ შედეგებზე. ერთ-ერთ ასეთ პრიორიტეტად მიჩნეულ იქნა პროგრამა „საჩუქარი ბავშვებს“, რომელსაც დამტკიცებული გეგმა განესაზღვრა 300.0 ათასი ლარის ოდენობით. მოსალოდნელი შედეგი ითვალისწინებდა 8-14 წლამდე ბავშვების და მოზარდებისთვის კულტურული მემკვიდრეობის გაცნობას, თუმცა, 2009 წლის 4 დეკემბერს ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებებით აღნიშნული პროგრამა გაუქმებულია. იმავე ცვლილებით ბიბლიოთეკების განვითარების პროგრამაში გათვალისწინებული 700.0 ათასი ლარი ამოღებულია დაფინანსებიდან. ასევე საანგარიშო წელს ერთ-ერთ პრიორიტეტად მიჩნეული იყო „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროგრამა“, რომლის მიხედვით კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა რეაბილიტაციასთან ერთად გათვალისწინებულ იყო სხვადასხვა გადაუდებელი ღონისძიება, აღნიშნული მიზნის მისაღწევად ბიუჯეტით დაიგეგმა 7709.1 ათასი ლარი, წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებებით კი 2955.9 ათასი ლარი მოიხსნა დაფინანსებიდან და პროგრამის შესრულებაზე მიიმართა მხოლოდ 4753,2 ათასი ლარი.

შესაბამისი გათვლებისა და გაანგარიშების გარეშე ხელოვნების განვითარების ღონისძიებებში დამტკიცებულ და შემდგომში დაზუსტებულ გეგმას შორის სხვაობამ შეადგინა 8716.3 ათასი ლარი. დამტკიცებული გეგმა 17 242.0 ათასი ლარი დაზუსტებულში გაზრდილია 25 958.3 ათას ლარამდე. მ.შ. სარეზერვო ფონდებიდან 6 903.5 ათასი ლარით. დაფინანსების ასეთი ოდენობით ზრდის პირობებში არ არის გათვალისწინებული ერთ-ერთი პრიორიტეტული პროგრამის „ქართული პროფესიული თეატრალური ხელოვნების განვითარების“ დამტკიცებული ბიუჯეტის ცვლილება. პროგრამის დამტკიცებული ბიუჯეტი - 646.8 ათასი ლარი დაზუსტებით შემცირებულია 227.7 ათას ლარამდე.

რეკომენდაცია:

- სამინისტრომ წლიური ბიუჯეტის პროექტის ფორმირებისას მაქსიმალური სიზუსტით გაითვალისწინა გეგმიური ხარჯებისა და ჩასატარებელი ღონისძიებებისათვის საჭირო ასიგნებების ოდენობა;

- მოსალოდნელი ცვლილებების დაგეგმვის პროცესში, განახორციელოს ოპტიმალური გათვლა სხვადასხვა ორგანიზაციულ კოდში გათვალისწინებული ხარჯების კორექტირების მიზანშეწონილობაზე.

1.2. დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით

აუდიტის შედეგად დადგენილი გარემოებები:

სამინისტროს დამტკიცებული⁵ წლიური საბიუჯეტო ასიგნებების გეგმა (86250.7ათ.ლარი), პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების გათვალისწინებით დაზუსტდა 97 873.9 ათასი ლარის ოდენობით.

2009 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი	2009 წლის 11 ილისის ცვლილება	2009 წლის 4 დეკემბრის ცვლილება	დამტკიცებუ ლი გეგმა ცვლილებების გათვალისწინ ებით	მთავრობის სა რეზერვო ფონდ იდან გამოყოფილი ასიგნებები	პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებები	2009 წლის დაზუსტე ბული გეგმა
86 350 000	-133 000	343 000	86 250 700	7 432 488	4 190 705	97 873 893

ორგანიზაციის ბალანსის (დანართები N2, 2-1, 2-2) და ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ფორმა E14 თანახმად, სამინისტროს მიერ 97873.9 ათასი ლარის დაზუსტებული გეგმის ფარგლებში, ვალდებულება აღებულია 97178.1 ათას ლარზე (რესურსი - 695.8 ათასი ლარი). ანუ გეგმის 99.3%-ზე. მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა 97005.6 ათასი ლარი ანუ გეგმის 99.1% შეადგინა. ფაქტობრივი ხარჯი გაიწია 85173.2 ათასი ლარის ოდენობით (საკასო ხარჯის-87.0%), რაც საკასო ხარჯთან შედარებით 3581.6 ათასი ლარით ნაკლებია. წლიურ ნაერთ ბალანსთან დართული ახსნა-განმარტებითი ბარათის თანახმად, სხვაობა საკასო და ფაქტობრივ ხარჯებს შორის გამოწვეულია თანხების წინასწარი გადახდებით (ხელშეკრულების თანახმად) და არაფინანსური აქტივების ზრდით.

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით ხარჯები გაწეულ იქნა შემდეგი ოდენობით:

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლები	დაზუსტებული გეგმა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	სხვაობა (4-3)	ათ. ლარი შესრულება% (3/2)	შესრულება% (4/2)
1	2	3	4	5	6	
1. ხარჯები	89591.4	88754.8	85173.2	-3581.6	99.1	95.1
შრომის	2581.7	2581.7	2581.7	0	100	100
ანაზღაურება საქონელი და	18560.8	18069.1	15377.4	- 2691.7	97.4	82.8

⁵ 2009 წლის 4 დეკემბერი

მომსახურება						
სუბსიდიები	59958.7	59763.8	58916.2	-847.6	99.7	98.3
სოციალური	326.9	319.4	319.4	0	97.7	97.7
უზრუნველყოფა						
სხვა ხარჯები	8163.2	8020.9	7978.5	- 42.4	98.2	97.7
2. არაფინანსური	7211.7	7180.0			99.6	
აქტივები						
3. ფინანსური	1000.0	1000.0			100	
აქტივები						
4. ვალდებულებები	0	70.8				
სულ:	97873.9	97005.6	85173.2	-3581.6	99.1	87.0

წარმოდგენილი ცნობისა და ბალანსის შესაბამისი დანართი ფორმების თანახმად, სამინისტროს დებიტორული დავალიანება გაეზარდა 8004.8 ათასი ლარით, საიდანაც მნიშვნელოვანი ზრდა აღენიშნება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტს - 3633.4 ათასი ლარი, სსიპ საქართველოს ეროვნულ მუზეუმს - 2265.9 ათასი ლარი და სამინისტროს პროგრამებს - 2448.8 ათასი ლარი. მიზეზად სახელდება წინასწარი გადახდები და არაფინანსური აქტივების ზრდა. რაც შეეხება კრედიტორულ დავალიანებას იგი შემცირებულია 1994.1 ათასი ლარით.

რეკომენდაცია:

- სამინისტრომ განახორციელოს პრიორიტეტული პროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსების სისტემატიზაცია.
- გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები დებიტორული დავალიანებების შესამცირებლად.

1.3. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობა

აუდიტის შედეგად დადგენილი გარემოებები:

საანალიზო წლის განმავლობაში პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან სათანადო განკარგულებების (16) საფუძველზე, სამინისტროს გამოეყო 4190.7 ათასი ლარი სხვადასხვა ღონისძიების დასაფინანსებლად, რაზეც გაიწია 4171.7 ათასი ლარის საკასო ხარჯი(99.5%).

მთავრობის სარეზერვო ფონდიდან შესაბამისი განკარგულებების საფუძველზე სამინისტროს სხვადასხვა მიზნით გამოეყო 7432.5 ათასი ლარის სახსრები, საიდანაც საკასო ხარჯი გაწეულ იქნა 7426.5 ათასი ლარის ოდენობით (99.9%).

აღსანიშნავია, რომ როდესაც სამინისტროს გააჩნდა საკუთარი ფინანსური რესურსები სხვადასხვა ღონისძიების დასაფინანსებლად, თანხები მოთხოვნილია პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან, კერძოდ: საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით⁶ სამინისტროს პროგრამა „ქართული სეზონის“ ღონისძიებების დასაფინანსებლად მიღებული აქვს 2093.9 ათასი ლარი (აღნიშნული თანხა აისახა ორგანიზაციულ კოდში (3308) საპრეზიდენტო ნაციონალური პროგრამები). საანალიზო წელს კი ამავე პროგრამიდან ასიგნებები ცვლილებების შედეგად შემცირებულია 1994.2 ათასი ლარით და გადატანილია სხვადასხვა

⁶ 2009 წლის 21 აპრილი N284

ორგანიზაციულ კოდში. გარდა ამისა, ფინანსთა სამინისტროს გაეგზავნა მოთხოვნა აღნიშნული პროგრამიდან 533.4 ათასი ლარის მოხსნის თაობაზე, რაც არ დაკმაყოფილდა. ასევე, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დამტკიცებული ბიუჯეტიდან (9573.1 ათასი ლარი) ცვლილებების შედეგად ამოღებულია 2690.7 ათასი ლარი, ამავდროულად მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მიღებულია 60.0 ათასი ლარი.

კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამაში არ არის გათვალისწინებული და პროგნოზირებული მოსალოდნელი გაუთვალისწინებელი, მაგრამ აუცილებელი ღონისძიებების ჩასატარებლად საჭირო დაფინანსების მინიმალური ზღვრული ოდენობა, კერძოდ, თავდაპირველი გეგმით გათვალისწინებული 250.0 ათასი ლარის ნაცვლად აღმოჩნდა, რომ საჭირო იყო 3417.8 ათასი ლარი. რაც შეივსო პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან შესაბამისად 727.6 და 2390.0 ათასი ლარით.

რეკომენდაცია:

სამინისტრომ პრეზიდენტის და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან თანხების გამოყოფაზე მოთხოვნა წარადგინოს გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში.

1.4. გრანტების (ფულადი და სასაქონლო), ჰუმანიტარული დახმარებების და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემოსავლების მიღების, აღრიცხვის და გამოყენების მდგომარეობა

აუდიტის შედეგად დადგენილი გარემოებები:

სამინისტროდან წარმოდგენილი ცნობების თანახმად, ორგანიზაციას საანალიზო პერიოდის განმავლობაში სასაქონლო გრანტი ან ჰუმანიტარული დახმარება არ მიუღია. რაც შეეხება ფულად გრანტებს, „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილების⁷ შედეგად, სამინისტროს დაუმტკიცდა 434.4 ათასი ლარის გრანტი, რომელიც განწერილია სხვადასხვა ორგანიზაციული კოდის მიხედვით. საკასო ხარჯმა შეადგინა 419.2 ათასი ლარი (96.5%). ამას გარდა წარმოდგენილი ცნობის და ბალანსის დანართი ფორმა N3 თანახმად, სამინისტროს სხვადასხვა სსიპ-ების (ორგანიზაციული კოდის) მიხედვით, ბიუჯეტის კანონით დამტკიცების გარეშე, მიღებული აქვს 554.1 ათასი ლარის გრანტი, რაზეც გაწეულია 390.1 ათასი ლარის საკასო ხარჯი (70.4%).

სამინისტროსთვის უცნობია აღნიშნული გრანტების წარმომავლობა, დანიშნულება და ხარჯვის კანონიერება.

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	ლარი	
		მიღებული გრანტი	საკასო ხარჯი
33 00	სამინისტრო	554 135	390 089
33 04	სახელოვნებო და სასპორტო განათლების ღონისძიებები	97 962	93 208
33 04 01	სახელოვნებო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებათა სახელმწიფო ხელშეწყობა	97 962	93 208
	სსიპ საქართველოს შ. რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი	97 962	93 208
33 05	კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ღონისძიებები	408 026	296 881
	სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმი	408 026	296 881
33 07	სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი	43 647	0
33 07 03	ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების	43 647	0

⁷ 2009 წლის 4 დეკემბერი

33 09	დონისპიეზები		
	სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი	43 647	0
	სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო	4 500	0
33 09 01	სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო	4 500	0

ბალანსის დანართი ფორმა N4-ის თანახმად, საანგარიშო პერიოდში სამინისტროს სხვა შემოსავლების სახით მიღებული აქვს 10972.8 ათასი ლარი.

სამინისტროში, მის კონტროლის ქვეშ არსებულ საჯარო სამართლის იურიდიული პირებთან მიმართებაში, სრულყოფილად არ ახორციელებს მათ მიერ ბიუჯეტის კანონით დამტკიცების გარეშე მიღებული გრანტების აღრიცხვისა და ხარჯვის მიზნობრივობის მონიტორინგს.

რეკომენდაცია:

- სამინისტრომ შეიმუშავოს მექანიზმი, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს სამინისტროს აპარატის ინფორმირებას კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციების მიერ მიღებული გრანტების აღრიცხვიანობასა და ხარჯვის კანონიერებაზე.

1.5. ფინანსური ანგარიშებისა და ანგარიშგების შედგენისა და წარდგენის კანონიერება.

აუდიტის შედეგად დადგენილი გარემოებები

სამინისტროს 2009 წლის კონსოლიდირებული ბალანსი შედგენილია ფინანსთა სამინისტროს ბრძანებებით⁸ დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციისა და „სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნათა დაცვით.

2. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებები (ზრდა/კლება)

აუდიტის შედეგად დადგენილი გარემოებები:

სამინისტროს ნაერთი ბალანსის დანართი ფორმა N2-1 თანახმად, ორგანიზაციის არაფინანსური აქტივები გაიზარდა 7180.0 ათასი ლარით.

ფინანსური აქტივი (ბალანსის დანართი ფორმა N2-2) წარმოშობილია 1000.0 ათასი ლარის ოდენობით, აღნიშნული თანხა, საქართველოს მთავრობის განკარგულებით⁹, სარეზერვო ფონდიდან შ.პ.ს. „მონიოს“ კუთვნილი საცურაო აუზის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოთა შესრულებისთვის, მთავრობის სამინისტროს გამოეყო სესხის გასაცემად. სესხით სარგებლობის მაქსიმალურ ვადად განისაზღვრა 7 წელი, საშეღავათო პერიოდი 2 წლამდე, სესხით სარგებლობის წლიური განაკვეთი-2%.

⁸ 2007 წლის 28 დეკემბერი N1321 და 2008 წლის 16 აპრილი N364

⁹ 2009 წლის 27 აგვისტო N636

აღნიშნული განკარგულების შესაბამისად გაფორმებდა სამმხრივი ხელშეკრულება¹⁰, ფინანსთა სამინისტროს (სესხის გამომყოფი), კულტურის სამინისტროს (სესხის გამცემი) და შ.პ.ს. „მონიოს“ (სესხის მიმღები) შორის. ხელშეკრულებით სესხის არამიზნობრივ ხარჯვაზე ან დაგვიანებით ანგარიშსწორებაზე გათვალისწინებულია პირგასამტეხლო და საჯარიმო სანქციები, თუმცა შეღავათიანი კრედიტის პირობებში, ხელშეკრულება შ.პ.ს. „მონიოს“ არ ავალდებულებს სახელმწიფოს დაკვეთით მომსახურება გაწიოს ასევე შეღავათიანი პირობებით ან რეგულირებადი ფასებით.

რამდენად სრულდება ხელშეკრულების პირობები, იხარჯება თუ არა კრედიტის თანხები მიზნობრივად და გრაფიკის შესაბამისად, დამატებითი შესწავლის საკითხია.

ფინანსური ვალდებულებები (ბალანსის დანართი ფორმა N2-2-ის მიხედვით), ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, საკუთარი საბიუჯეტო ასიგნებებიდან შეცირებულია 70.8 ათასი ლარით. ამასთან ერთად საქართველოს მთავრობის განკარგულებების¹¹ თანახმად, წინა წლებში წარმოქმნილი საგადასახადო დავალიანებების დასაფარად, სამინისტროს გამოეყო 1918.7 ათასი ლარი, საიდანაც ათვისებულ იქნა 1915.0 ათასი ლარი. სულ ვალდებულებები შემცირებულ იქნა 1985.8 ათასი ლარით.

აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობა და უფლებამოსილებანი

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, აუდიტის ობიექტი უფლებამოსილია აუდიტის აქტი მისი ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში გაასაჩივროს მხოლოდ საქართველოს კონტროლის პალატის დავების განმხილველ საბჭოში, ქ.თბილისი ქეთევან წამებულის გამზირი №96.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:


ჯგუფის ხელმძღვანელი
საქართველოს კონტროლის პალატის
აუდიტორი
ელგუჯა ბეროშვილი

 13.05.2010
ხელმოწერა თარიღი

აუდიტორები:
რეზო ჭითავა

 13.05.2010
ხელმოწერა თარიღი

ლილი გველესიანი

 13.05.2010
ხელმოწერა თარიღი

¹⁰ 2009 წლის 17 სექტემბერი

¹¹ 2009 წლის 12 მაისი N361 და 2009 წლის 11 ნოემბერი N845